8271
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

ხუთშაბათი, 24 დეკემბერი, 1942 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო | № 45 (356). ფასი 30 კაპ.

## უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს
## უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს
## უკრაინის სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს

სრულიად-საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების 25 წლისთავის დღეს ძმურ სალამს უთვლიან უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციას.

მეოთხედი საუკუნის წინათ უკრაინელმა ხალხმა, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, დაამხო უკრაინელი ხალხის მჩაგვრელთა ძალაუფლება და დაამყარა ნამდვილად ხალხური ხელისუფლება. იცავდა რა თავის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, უკრაინელმა ხალხმა 1918 წელს, დიდი რუსი ხალხის დახმარებით, გაანადგურა და უკრაინის მიწა-წყლიდან განდევნა გერმანელი ოკუპანტები.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლების განმავლობაში უკრაინელმა ხალხმა კულტურულ და შეძლებულ ცხოვრებას მიაღწია. უკრაინაში აგებულ იქნა ასობით ახალი დიდი ქარხანა და ფაბრიკა, მრავალი ასეული მანქანა-ტრაქტორთა სადგური, ათასობით სკოლა და საავადმყოფო, კლუბი და თეატრი, უკრაინა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლების განმავლობაში მოწინავე, მაღალპროდუქტიული სოფლის მეურნეობის ქვეყნად გადაიქცა. უმაგალითო აყვავებას მიაღწია უკრაინულმა ნაციონალურმა კულტურამ. უკრაინის მიწები ისტორიაში პირველად გაერთიანდნენ უკრაინის ერთიან სახელმწიფოში.

უკრაინელი ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა დარღვეულია გერმანელ ფაშისტთა ბანდების შემოჭრით. ჰიტლერელებმა დაანგრიეს საბჭოთა უკრაინის ათობით ქალაქი და ასობით სოფელი, წაბილწეს და მოსპეს უკრაინელი ხალხის ნაციონალური კულტურის მრავალი ძეგლი, გაჟლიტეს და აწამეს ასეულათასობით უკრაინელი მამაკაცი, ქალი და ბავშვი.

კაციჭამია ჰიტლერმა განიზრახა გადააქციოს უკრაინა გერმანელი იმპერიალისტების კოლონიად, დაიმონოს და გააგერმანელოს თავისუფლებისმოყვარე უკრაინელი ხალხი. ეს არ მოხდება! უკრაინელი ხალხის ერთგული ვაჟიშვილები და ქალიშვილები მამაცურად იბრძვიან წითელი არმიის რიგებში, თავდადებით შრომობენ საბჭოთა ზურგში, გმირულად იბრძვიან პარტიზანულ რაზმებში და ამზადებენ მშობლიური მიწა-წყლის სრულ განთავისუფლებას ოკუპანტებისაგან.

უკრაინა საბჭოთა იყო და იქნება! სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ნაწილები უკვე შევიდნენ მათ მიერ პირველ განთავისუფლებულ სოფლებში. დაე განმტკიცდეს და გაფართოვდეს სახალხო განმათავისუფლებელი ბრძოლა უკრაინაში, გერმანელ ყაჩაღთა ზურგში.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო გამოსთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ უკრაინელი საბჭოთა პატრიოტები საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას სამშობლოს წინაშე.

გაუმარჯოს უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის დავალებით.

ი. სტალინი
ვ. მოლოტოვი

## საქართველოს სამხედრო გზაზე

### სიმონ ჩიქოვანი

### დილა ულელტეხილზე

მე მლეთზე გადავიღამე,
ქარმა ღრუბელი დათენთა.
გათენდა, სუსხი ვინამე,
გავიღვიძეო, გათენდა!
წამოვდექ, თვლემა ვიკმარე,
შვიდი მთა მიხმობს გულადი.
მეფობს მხედრული სიწყნარე,
მთები დინჯი და პურადი.
როგორ გაშლილა სიტურფე!
დილა წკრიალებს ხალასი.
მე ერთი მერგო მეუფე,
ჩემი სამშობლო ლამაზი.
მორჭმული ხმლით და ვენახით
ციხე არის თუ მარანი?
მეძახის, დილა მეძახის,
მამულს ვაშოროთ ვარამი.

არ დავიშუროთ სიცოცხლე,
შევწიროთ როგორც ზვარაკი.
დავემხე, მიწა მიბოძე,
წავიღო ცეცხლი მარაგი.
მკერდს მოვიფარო ცისმარე,
ვიყო მტარვალთა მკვეთელი.
შვიდი ძმა მიხმობს მრისხანე,
გურჯაანელი თუ მლეთელი.
უთვალავ დილას გილოცავ,
რაც შეგიქმნია აქამდი.
გისურვებ, მტერი მილეწო,
გაკაფო როგორც ჰკაფავდი.
ჩავიკრათ ცისკრის ნატეხი,
ქარმა ღრუბელი დათენთა,
ადექით, მთებო, ადექით,
მხედრული დილა გათენდა!

### აჩრდილი

„მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა,
მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული".
ილია ჭავჭავაძე—„აჩრდილი".

თითქო დაირღვა მყუდრო სამეფო,
თერგი ამბოხდა, ხევში მდინარი,
როგორც ყივილი, როგორც სამრეკლო,
მთებზე გადმოდგა ჩემი მყინვარი,
ყინვის ჩაფხუტით, მეტად ტანადი,
შერუჯული და ბევრჯერ დაჭრილი,
როგორც წინაპრის სული მარადი,
ცად შეყინული ქართლის აჩრდილი.
მისი პირველი კვამლის მოწამე,
მისი ბუნების ფიქრით ნაშენი.
მტკნარი ცრემლებით თერგის მოწყალე,
ქართლის მეხრე და ჩემი მაშველი.
რა ნისლი იდგა, როგორ გაშლილი
შიგ შეტყორცნილი ჩანდა მყინვარი.
ზემოთ ვიხილე ისევ აჩრდილი,
ბრძენი, სპეტაკი და გამყივარი.
მყინვარზე იდგა კაცი პეპერა,
წელზე მოერტყა სუროს ქამარი.
ფიქრი სურდა თუ სურდა ემღერა?
ნისლი ეხვია როგორც ვარამი.
რქვა: საქართველოვ, მე ვარ შენთანა,
შენი მცხუნვარე მიწის ნაწილი.
ჩვენი მარჯვენა არსად შემკრთალა,
არსად გამტყდარა ჩვენი არწივი.
მინდა ყიოდე, პაპას გამგვანო,
ღამე ვტეხე და გლოცე წუხელი.
დიდი სტალინის მიწავ, აკვანო,
ვერვინ დაგადგას მონის უღელი!—
რქვა და გარეკა ნისლი მხუთავი,
მშვიდად განსჭვრიტა კლდენი-ციხენი.

ხელში აიღო ქართლის გუთანი
და გადაჰკიდა ხმალი ფიცხელი.
მომეჩვენა თუ იყო სიცხადე:
მყინვარზე იდგა კაცი პეპერა.
როგორ ვიმღერე, როგორ ვიცადე,
დილამ ვარდისფრად მთები შეჰფერა.

თვითონ მყინვარიც პაპა მეგონა,
ხავსი ეკრა თუ ყინვის ჯაგარი.
მთელი სამშობლოს ძალა შეჰკონა
და წარუმძლევარა თერგი მაგარი.
წინ, საქართველოვ, მიღმა ვინ არი?
გქონდეს მარჯვენა ომში ქებული,
შეუდრეკლობა დარი მყინვარის,
მტერზე შეტევა თერგისებური.
წინ, ვაჟკაცებო, მთები იძახდნენ,
მდინარე ჰქუხდა, ხევში გაჭრილი,
და საქართველოს მიწის სიმართლე
მთებზე ჰყიოდა, ჩვენი აჩრდილი.



საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ბოლშევიკების პარტიის ერთგული შვილი, ლენინ-სტალინის საქმისათვის უსაზღვროდ თავდადებული, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, ამხანაგი

## კალისტრატე ნესტორის-ძე შეროზია

## რედაქტორის მუშაობისათვის გამომცემლობაში

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებამ, აგრეთვე საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმმა ლიტერატურული წუნის ერთ-ერთ მიზეზად ჩასთვალეს რედაქტორების სუსტი მუშაობა გამოსაცემ მხატვრულ წიგნზე. პლენუმზე სამართლიანად იქნა აღნიშნული, რომ ზოგჯერ მხატვრულ წიგნებს რედაქტორობენ მხატვრული ლიტერატურის საფუძვლიან ცოდნას და ლიტერატურულ გემოვნებას მოკლებული პირები, რომლებიც ისეთ ხელნაწერებს აძლევენ დასტურს, რომლებიც აშკარა წუნს წარმოადგენენ.

უნდა დაწესდეს რედაქტორის მკაცრი პასუხისმგებლობა გამოცემული წიგნის ღირსებისათვის. უკანასკნელ დრომდე რედაქტორებს მეტწილად ერთად-ერთი საზომი ჰქონდათ: თუ ნაწარმოები იდეურად, პოლიტიკურად მავნე არ იყო, შესაძლებლად სთვლიდნენ მის გამოქვეყნებას. უდავო დებულება ის არის, რომ თუ ნაწარმოები, რომელსაც მხატვრული ნაწარმოების პრეტენზია აქვს, ნამდვილად მხატვრული არ არის, თავის იდეურ-პოლიტიკურ ფუნქციასაც ვერ შეასრულებს. ასეთი ნაწარმოების გამოცემა ყოველმხრივ საზიანო და საზარალოა, მასზე უსარგებლოდ დაიხარჯება ძვირფასი ქაღალდი და პოლიგრაფიული წარმოების მუშათა მთელი კოლექტივის შრომა. რაც მთავარია, ასეთი უხარისხო, წუნდებული ნაწარმოები გულს უცრუებს მკითხველს ნამდვილ მხატვრულ ლიტერატურაზე.

დროა ჩვენს გამომცემლობებში განმტკიცდეს იმის შეგნება, რომ რედაქტორი საგამომცემლო მუშაობის ძირითადი რგოლია, რომ რედაქტორის კვალიფიკაციაზე, სწორად გაგებულ მისი ფუნქციის კეთილსინდისიერ შესრულებაზე დიდად არის დამოკიდებული მხატვრული პროდუქციის ხარისხი.

ცხადია გამოსაცემად წარდგენილი ნაწარმოების განხილვისას რედაქტორმა განსაკუთრებით მხედველობაში უნდა მიიღოს ნაწარმოების პოლიტიკური აქტუალობა და იდეური სიმახვილე, მაგრამ რედაქტორის მოვალეობის მხოლოდ ამით შემოფარგვლა საქმეს ვერ გამოასწორებს, ვერ იხსნის გამომცემლობას უხარისხო ნაწარმოების გამოქვეყნების საფრთხისაგან.

რამდენად სწორად და დამაჯერებლად, რამდენად ღრმად და ცხოვლად ხსნის წიგნი ამა თუ იმ იდეას, რამდენად ამდიდრებს ნაწარმოები მკითხველის შემეცნებას ისეთი სოციალური და ფსიქოლოგიური მოვლენების ასახვით, რომლებიც მკითხველს ცხოვრების ახალ არსებითს მხარეებს უჩვენებენ, — აი რა მოთხოვნა უნდა წაუყენოს წიგნის რედაქტორმა გამოსაცემ ნაწარმოებს და თუ იგი ამ პირობებს აკმაყოფილებს, ხელნაწერი უნდა გამოიცეს კიდეც.

მწერალთა კავშირის გამგეობის დადგენილებით, ეს ფუნქცია ეკისრება იმ სარედაქციო კომისიას, რომელიც მწერალთა კავშირის პრეზიდიუმთან დაარსდა და რომელსაც სარეცენზიოდ წიგნი უნდა გადმოუგზავნოს ყველა გამომცემლობამ. ეს კომისია მისცემს დასკვნას, მისაღები და მიზანშეწონილია თუ არა ამა თუ იმ ხელნაწერის გამოცემა. მაგრამ ამით, დადებითი დასკვნის შემთხვევაში, ხელნაწერზე მუშაობა ყოველთვის დასრულებულად როდი შეიძლება ჩაითვალოს. შეიძლება კომისიამ ნაწარმოები გამოცემის ღირსად ჩასთვალოს, მაგრამ იმ პირობით, თუ მასში საჭირო ცვლილებები იქნება შეტანილი. სწორედ აქ უნდა დაიწყოს გამომცემლობის რედაქტორის მუშაობა კომისიის მიერ მოწონებულ ხელნაწერზე, რედაქტორი უნდა დაეხმაროს მოწონებული ხელნაწერის ავტორს იმ ნაკლისა და დეფექტების გამოსწორებაში, რომლებზედაც მას მიუთითებს კომისია. რედაქტორი უნდა დაეხმაროს ავტორს, ნაწარმოები მკითხველამდე მიიტანოს იმ სახით, რომ იგი იყოს მისაწვდომი, გასაგები, ღრმა ინტერესის აღმძვრელი და ამაღელვებელი.

რედაქტორმა უნდა იზრუნოს, რომ ნაწარმოები იდეურად გამართული და ნათელი იყოს, არ გაიპაროს მასში ენობრივი და სტილისტური ლიაფსუსები, მყვირალა ფრაზები, ზიზილ-პიპილოები, საერთოდ ისეთი ანტიესთეტიკური ელემენტები, რომლებიც ხელს უშლიან ნაწარმოების იდეის მხატვრულ გახსნას, რომლებიც აბუნდოვანებენ და აბნელებენ მხატვრული ნაწარმოების შინაარსსა და დედააზრს.

აქედან ცხადია, თუ რა საფუძვლიანი ცოდნა და მხატვრული გემოვნება მოეთხოვება მხატვრული წიგნის რედაქტორს.

მხატვრული წიგნის რედაქტორობა ავტორთან ნამდვილი შემოქმედებითი თანამშრომლობაა. ეს კარგად უნდა ახსოვდეს გამომცემლობის ხელმძღვანელს, როცა იგი ხელნაწერის რედაქტორს ირჩევს და აგრეთვე რედაქტორს, რომელიც მხატვრული წიგნის რედაქტორობას კისრულობს.

## „სამშობლო" რუსთაველის თეატრში

დადგმა აკაკი ვასაძისა, მხატვრობა ს. ვირსალაძისა, მუსიკა ი. ტუსკიასი

დიდი შემოქმედებითი წარმატებით, მაღალ იდეურ-ესთეტიკურ დონეზე მიჰყავს მიმდინარე სეზონი რუსთაველის სახელობის თეატრს. ახალგაზრდა რეჟისორის **დ. ალექსიძის** მიერ ნიჭიერად გონებამახვილურად და ცხოველი გემოვნებით დადგმულ ლოპე დე ვეგას პიესას „სხვისთვის სულელი, თავისთვის ჭკვიანი" მოჰყვა წრფელი, რევოლუციური პათოსით გამსჭვალული სპექტაკლი „ოლეკო დუნდიჩი", ხოლო ამ დღეებში თავის მორიგ პრემიერად თეატრმა გვიჩვენა მგზნებარე პატრიოტული სულისკვეთებით შთაგონებული წარმოდგენა „სამშობლო".

ცნობილია, რომ სარდუს პიესიდან გადმოკეთებული „სამშობლო" დავით ერისთავისა განუყრელად არის დაკავშირებული ქართული თეატრის ჯანსაღ პატრიოტულ და რეალისტურ ტრადიციებთან. ქართველი ხალხის ნაციონალური ჩაგვრისა და მონობის ხანაში წარმოიშვა ეს პიესა, როგორც ერთ-ერთი მკაფიო გამოხატულება ეროვნულ-გამანთავისუფლებელი რევოლუციური მოძრაობისა ჩვენს ქვეყანაში. პიესა მხატვრულად ასაბუთებს სამშობლოსადმი სიყვარულისა და ერთგულების გრძნობის უპირატესობას ადამიანის ყველა სხვა გრძნობასთან და მისწრაფებასთან შედარებით. ტრფიალების ცხოველმყოფელი ძალაც, მეგობრობის მაღალი გრძნობაც, თვით სიცოცხლის მოყვარეობაც კი, — ადამიანური ბუნების ეს აუცილებელი და მარადიული მისწრაფებანი იჩრდილებიან და ქედს იხრიან იმ უმაღლესი და უწმინდესი სახალხო გრძნობის წინაშე, რომელსაც პატრიოტიზმის გრძნობა ეწოდება. სამშობლო — უპირველეს ყოვლისა და ყველაფერზე მაღლა! ასეთია „სამშობლოს" ძირითადი მამოძრავებელი იდეა, და პიესის ეს დედა-აზრი ცხოვლად ეხმაურებოდა მოძალადე კოლონიზატორების წინააღმდეგ საბრძოლველად ამოძრავებული ქართველი ხალხის სულისკვეთებას. და ეხლა, როცა ჩვენი სამშობლოს სიცოცხლე და თავისუფლება კვლავ დიდი საშიშროების წინაშე აღმოჩნდა, როცა გერმანულ-ფაშისტური ტირანიის სისხლიანი კლანჭები ვერაგულის დაუნდობლობით გამოწვდილან ჩვენი სამშობლოსაკენ, ქართულ სცენაზე კვლავ აჟღერდა „სამშობლო", როგორც ღირსეული გამოძახილი ჩვენი დევ-გმირი ხალხის ეხლანდელი უმაგალითო საბრძოლო-პატრიოტული თავგანწირულებისა.

ფრიად რთულსა და საპასუხისმგებლო ამოცანას წარმოადგენს თანამედროვე ქართული თეატრისათვის „სამშობლოს" დადგმა. იგი თანამედროვე თეატრისათვის შემოქმედებითი გამოცდაა არა მარტო ჩვენი ახლანდელი მგზნებარე პატრიოტული განწყობილების წინაშე, არამედ ქართული სცენის საუკეთესო ტრადიციების წინაშეც. გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ეს დიდი გამოცდა რუსთაველის თეატრმა უეჭველის წარმატებით ჩააბარა.

წარმოდგენა ცხოველ გამოხმაურებას და ერთსულოვან მოწონებას პოულობს მაყურებელთა შორის. ეს წარმატება პირველ ყოვლისა სვიმონ ლიონიძის როლის განმსახიერებელს **აკაკი ვასაძეს** უნდა მიეწეროს. მის მიერ ამ როლის შესრულების დახასიათებისას ჩვენ სრული უფლებით შეგვიძლიან გავიმეოროთ ის შეფასება, რომელიც თავის დროზე ილია ჭავჭავაძემ მისცა სვიმონ ლიონიძის როლის მაშინდელ სახელმოხვეჭილ შემსრულებელს, მსახიობ გამყრელიძეს: „თავიდან ბოლომდე ერთნაირად, თანასწორად, ფრთხილად და ცოდნით, ნამდვილი გმირის ბუნების შეულახავად გაატარა თავისი როლი". ამ როლით აკაკი ვასაძემ საუკეთესო ფურცელი შემატა თავის არტისტულ ბიოგრაფიას. წარმოდგენის პირველ ორ მოქმედებაში მსახიობმა თვალწინ დაგვიხატა დარბაისელი, დიდბუნებოვანი ქართველი პატრიოტის შესანიშნავი სახე, იმ ადამიანისა, რომელსაც შეუძლიან სამშობლოს კეთილდღეობის თვალსაზრისით გაზომოს ყოველი მოვლენა და მხურვალედ მოყვარული ქმრის გულისხმიერა დაუმორჩილოს სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლის ფხიზელ გონებას და ურყევ ნებისყოფას. აქ მისი ყოველი სიტყვა, ჟესტი, სახის გამომეტყველება ღრმა შინაგანი ძალით, თავდაჭერილობით, კეთილშობილებით არის აღბეჭდილი. როლის ბუნების ღრმად გაგება და განცდა, თავისი შემოქმედებითი ამოცანის სრული გონებრივი დაუფლება გამოსჭვივის მის ყოველ ნაბიჯში, ყოველ ფრაზაში. მაგრამ ა. ვასაძის მსახიობური ხელოვნება თავის ჭეშმარიტად მომხიბვლელ ძალას აღწევს მესამე მოქმედებაში, იმ სცენაში, სადაც სვიმონ ლიონიძემ გამოარკვია, რომ მისი ოჯახური ბედნიერების დამრღვევი და პირადი ღირსების შემლახველი მისივე უსაყვარლესი მეგობარი და მახლობელი თანამებრძოლი ლევან ხიმშიაშვილი ყოფილა. ამ ეპიზოდში მსახიობმა უღრმესი ძალით გადმოგვცა გულის სიღრმემდე შეძრწუნებული ადამიანის მწვავე სულიერი დრამა. პირველ გულსაკლავ შეტორტმანებას მოჰყვა შემზარავი შეძახილი, რომელშიაც გამოიხატა უხეშად შეურაცყოფილი ადამიანობის მრისხანებაც, შელახული ზნეობის აღშფოთებაც და გულითადი ამოკვნესაც იმ ადამიანისა, რომელსაც ბედმა არ აკმარა საყვარელი ცოლის დაკარგვა და ახლა ღვიძლი მეგობარი და თანამებრძოლიც გამოსტაცა. მარტო ეს ერთი სცენაც საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ მსახიობის მიერ შექმნილი სახე წარუშლელად აღბეჭდილიყო მაყურებლის მეხსიერებაში.

მაყურებელი მძაფრად განიცდის ლიონიძის დრამას და ეს ემოციური კონტაქტი მსახიობსა და მაყურებელს შორის უფრო ღრმავდება და ძლიერდება იმ ეპიზოდებში, სადაც შეთქმულთა მეთაური ლიონიძე თავის თანამებრძოლებთან ერთად დაჩოქილი ავედრებს ღმერთს თავის მრავალტანჯულ სამშობლოს ან კიდევ—სადაც სასიკვდილოდ განწირული ლიონიძე ეთხოვება და უკანასკნელი აღთქმის შესრულებას ავალებს ლევან ხიმშიაშვილს.

მსახიობმა გვიჩვენა ურთულეს ადამიანურ განცდათა გადმოცემის იშვიათი ძალა, როლის ღრმად გააზრების უნარი.

ტემპერამენტითა და შეუნელებელი მგზნებარებით განახორციელა ლევან ხიმშიაშვილის როლი **გიორგი დავითაშვილმა**. დიდი არტისტული სკოლის მსახიობისათვის შესაფერი ოსტატობით გვიჩვენა მან ის სულიერი ქენჯნაც, რომელსაც ძვირფასი მეგობრის ცოლთან სიყვარულის შემბოჭველი ძალით დაკავშირებული ლევანი განიცდის, და მაღალი ადამიანობის ის ზეიმიც, როდესაც ქეთევანის მოკვლის შემდეგ ზნეობრივად ამაღლებული, ვალმოხდილი ლევანი თავგანწირულად გადაეშვება სამშობლოს ღირსებისათვის მებრძოლ ქართველთა დასასჯელად გაჩაღებულ ხანძარში.

ვნებათა ღელვის აულაგმავი სტიქიით შეპყრობილი და თავისი გრძნობებით თავდავიწყებამდე გაფთრებული ადამიანის ბუნებას გადმოგვცემს **თამარ ჭავჭავაძე** ქეთევანის როლში. ჩვეული პოტენციით და სიწრფელით ახორციელებს მსახიობი ამგვარად გაგებულ თავისი როლის ბუნებას, თუმცა მის თამაშს ზედმეტი დაძაბულობა და გამოსახვითი საშუალებების ერთფეროვანება ახასიათებს.

მსახიობმა **დ. მჟავიამ** შაჰ-აბასის როლის შესრულებისას მკაფიოდ გამოხატა ამ მძვინვარე დამპყრობელის ვერაგობა და ულმობელობა, ისევე, როგორც ფაიხოშის როლის შემსრულებელმა **ალ. თოიძემ** ცხოვლად დაგვიხატა შაჰის ავადმყოფი ასულის გულუბრყვილო და ჭირვეული ბუნება.

ეპიზოდური როლების დამუშავების მხრივ წარმოდგენას საგრძნობი ნაკლი აქვს: დამდგმელსაც და მსახიობებსაც ბევრი არაფერი გაუკეთებიათ იმისათვის, რომ გაეცოცხლებინათ და ინდივიდუალური ადამიანური თვისებები აემეტყველებინათ პიესის „დამხმარე" პერსონაჟში. ისინი სპექტაკლში ისევე ფერნაკლულად გამოიყურებიან, როგორც დ. ერისთავმა აღნიშნულ პიესაში მოგვცა.

მაინც ასეთი როლების შემსრულებელთაგან გამოირჩევიან დ. **ხუციშვილი** (გოგია დიაკვანი), **ნ. დავითაშვილი** (ტყვე დედაკაცი), **ბ. წულაძე** (ისრაფილ-ხან) და **გ. ვასაძე** (ისმაილ-ბეკ).

რეჟისორული ფანტაზიის სიმდიდრითა და სიმახვილით გამოირჩევა სპექტაკლის მესამე მოქმედების მეორე სურათი და უკანასკნელი აქტი. მაყურებელთა საერთო აღტაცებას იწვევს მხატვრის **ს. ვირსალაძის** ნამუშევარი ამ სპექტაკლში. ფერების გასაოცარი სიუხვით და ჰარმონიულობით, უაღრესად დახვეწილი გემოვნებით და დასახული სცენიურ მდგომარეობათა ზუსტი გათვალისწინებით მხატვარი ჰქმნის გარემოცვის ცხოველ ილუზიას. მის მიერ მოცემული მეტეხის ციხე, შაჰის სამყოფელი სასახლე და დაპყრობილი, დარბეული თბილისის საერთო პანორამა ქართული ახალი დეკორატიული ხელოვნების საუკეთესო მიღწევათა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს.

დიდად ამდიდრებს ამ წარმოდგენას და აძლიერებს მისგან მიღებულ შთაბეჭდილებას **იონა ტუსკიას** მიერ ამ სპექტაკლისათვის დაწერილი მუსიკა. იგი მთლიანად გამსჭვალულია პიესაში დატრიალებული დრამის განცდით და ორგანიულად შექსოვილი მთელი წარმოდგენის ჰეროიკულ სულთან.

„სამშობლოს" დადგმით რუსთაველის სახელობის თეატრმა ჭეშმარიტი შემოქმედებითი სიხარული განგვაცდევინა.

**ბესარიონ ჟღენტი**

## ალიო მაშაშვილის ახალი ლექსები

გამომცემლობა „ფედერაციამ" დაბეჭდა და ამ დღეებში გასაყიდათ გამოვა ალიო მაშაშვილის ახალი ლექსების პატარა კრებული. კრებულში მოთავსებულია ამ უკანასკნელ ხანს სამამულო ომის შესახებ და სამამულო ომის გამო დაწერილი შემდეგი ლექსები: „მყინვარი", „დგას ორი ქალაქი, ორი ძმად ნაფიცი", „სევასტოპოლი", „გაზაფხული", „შემოდგომა", „გმირო მხედარო", „დედის ფიქრები", „ბალადა", „სიმღერის ძალა", „ჩემი ლექსები", და სხვ.

წიგნი ლამაზად არის გაფორმებული, შეიცავს 32 გვერდს და ღირს სამი მან.

## ჩახრუხაძის „თამარიანი" რუსულ ენაზე

დაიბეჭდა და გამოვიდა პროფ. შალვა ნუცუბიძის მიერ რუსულ ენაზე გადათარგმნილი ჩახრუხაძის „თამარიანი". წიგნი გამოსცა **სტალინის** სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

ჩახრუხაძის „თამარიანი" ქართული რენესანსის ერთ-ერთი უდიდესი ლიტერატურული ძეგლია. რუსულ ენაზე მისი თარგმნა დიდ სიძნელესთან იყო დაკავშირებული. პროფ. შ. ნუცუბიძემ „ვეფხის-ტყაოსნის" თარგმნის შემდეგ ხელი მიჰყო ქართული რენესანსის პოეტური ძეგლების რუსულ ენაზე თარგმნას. ასე დაიბადა „თამარიანი" რუსულ ენაზე.

წიგნი გამოცემულია ლამაზად. დაბეჭდილია ვიშხიმის ქაღალდზე. დართული აქვს მთარგმნელის შესავალი წერილი, რომელშიაც გარკვეულია საკითხები: „პოემა „თამარიანი", როგორც კულტურულ-ისტორიული ძეგლი", „ისტორიულ-ბიოგრაფიული ცნობები ჩახრუხაძისა და მისი პოემის შესახებ", „თამარიანის" სტრუქტურა და კომპოზიცია", „ჩახრუხაძის პოეტიკა", „ჩახრუხაძის მსოფლშეგრძნება", „ჩახრუხაძე და ქართული რენესანსი".

„თამარიანი" შეიცავს 188 გვერდს. გაფორმებულია მხატვარ ს. კეცხოველის მიერ, დართული აქვს რეპროდუქცია პროფ. ი. ი. ნიკოლაძის სკულპტურისა — „ჩახრუხაძე".

„თამარიანის" რედაქტორია პროფ. ს. ყაუხჩიშვილი.

წიგნი ღირს 15 მან.

მწერლის ტრიბუნა

# ხარისხისათვის!

**კონსტანტინე გამსახურდია**

ოც წელზე მეტია, რაც წარმოებაში დაუცხრომლად გაისმის ლოზუნგი: ხარისხისათვის. ეს მომეტებულად საჭიროა ლიტერატურასა და ხელოვნების სხვა დარგებისათვის დღეს, როცა ჩვენს ქვეყანას კარზე ადგას ვერაგი მტერი.

ჩვენთვის სავსებით მიუღებელია უიდეო მწერლობა. მაგრამ თუ გვინდა იგი იყოს ყველაზე უფრო მოწინავე და იდეური, ამავე დროს ჩვენი ხელოვნება არ უნდა ჩამორჩეს მთელ ჩვენს ეპოქას ოსტატობაშიაც.

ოსტატობის გარეშე მწერლობაც ისევე ურგებია, როგორც გასული საუკუნის კაჟის თოფები თანამედროვე ომში.

მიმდინარე საუკუნის პირველ ათეულ წლებში ისე ძლიერად შემოიჭრა ამორალიზმის, ზნეობრივი დეგრადაციის ნაკადები ჩვენს მწერლურ ყოფაში, ლამის იყო ჩამოაცალეს მას ის ნათელი შარავანდედი, რომლითაც შემოსეს ქართველი მწერლის სახელი ილიამ, ვაჟამ და აკაკიმ.

ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხელოვნება ეთიური კატეგორიის ცნებაა.

მეცხრამეტე საუკუნეში ჩვენში არ არსებობდა პროფესიული მწერლობა. ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოურ პერიოდში. ამ მოვლენას მრავალი დადებითი მხარე აქვს, მაგრამ არა მარტო ქართულის, თვით მთელი საბჭოთა კავშირის, გინდაც ევროპული მასშტაბითაც რომ ვიანგარიშოთ, გადაჭარბებული პროფესიონალიზმი ვნებს ხანდახან ლიტერატურას, განსაკუთრებით ახალგაზრდა კადრებს მისას.

ჩვენში მწერლობას ეძალება ხშირად გამოუცდელი, ცხოვრების იგნორანტი ახალგაზრდა კაცი, ხან გულჩვილი რედაქტორის, ხან გამომცემლის წყალობით იგემებს იგი იმ ნარკოზს, რომელსაც ლიტერატურული ჰაზარტი ეწოდება, მოსცდება სხვა პროფესიას, სადაც მას უფრო მეტის წარმატებით შეეძლო წადგომოდა ქვეყანას. შემდგომ ამისა თავათ მას უმწარდება სიცოცხლე, აბოროტებს სხვასაც და არსებობისათვის ბრძოლის ინსტიქტი აწერინებს ამგვარ ავტორს წუნდებულ პროდუქციას.

ნურავის ჰგონია, ბურჟუაზიულ ევროპაშიაც შესძლოს ახალგაზრდამ ერთის დაკვრით ოლიმპიაზე ახტომა. სანამ მწერალი ტომებს ტომებზე არ დააწყობს, იგი ვერც სახელს მოიხვეჭს, ვერც თუ იმდენ ნაყოფს მოიმკის, საარსებო მინიმუმად მაინც ეყოს. ამიტომაც ლიტერატურული კარიერის დამწყები ახალგაზრდა იძულებულია მძიმე შრომით გაიკაფოს გზა.

ის დაუზოგველი შეჯიბრი, რომელიც არსებობს ევროპული ხელოვნების ყოველ დარგში, თავისთავად მოითხოვს უმძაფრეს შრომას და თვით უნიჭიერესი კორიფეები ლიტერატურისა მხოლოდ სიცოცხლის მწუხრზე იხვეჭენ დიდ სახელსა და მატერიალურ უზრუნველყოფას.

არამც თუ დიდი რომანისტები ევროპისა, თვით უნაზესი ლირიული ტემბრის პოეტები ვერლენი, მალარმე, პოლ ვალერი და რილკე უმძიმესი შრომის შედეგად იხვეჭდნენ ოსტატობის დაფნებს. როგორც გასული, ისე მიმდინარე საუკუნე ისეთი დიდი ინტელექტუალიზმის ეპოქაა, ინსტიქტური მწერალი ჩვენს ეპოქაში ჩამორჩენილი კაცია. ვაჟას მაგალითს ნურავინ ეპოტინება. ვაჟას იერი ჰქონდა პრიმიტივისა, თავათ იგი ფრიად კულტურული კაცი იყო. საკმარისია გადაიკითხოთ მისი „ვინ არის კარგი მწერალი?“ ასე რომ ვაჟას „უკულტურობაში!“ ამბავი ნონსენსია.

მე მგონია, ილია ჭავჭავაძეს არაფერი დაუკარგავს იმ გარემოების გამო, რომ იგი დიდხანს სწავლობდა ქართული პროვინციის ცხოვრებას მომრიგებელი მოსამართლის პოსტზე ყოფნისას, არც ტოლსტოისა და სტენდალს ოფიცრობის დროს, არც ტეკერეის, როცა იგი ვაჭრობდა და ბურჟუაზიული ცხოვრების მამოძრავებელ ზამბარებს უკვირდებოდა. სტეფანე მალარმე, უდიდესი ოსტატი ფრანგული პოეზიისა, ინგლისურ ენას ასწავლიდა კოლეჟში, ნოვალისი უბრალო მეტყევე იყო, შილლერი — სამხედრო ექიმი, გოეტე — ფინანსისტი საკმაოდ მარიანეტული საჭერცოგოსი, ხოლო ვაჟა, ჩვენი დიდი ვაჟა — გაჭირვებული მასწავლებელი ფშაური სოფლისა.

ჭეშმარიტად, გულისამრევია ის გულგრილობა, როგორსაც იჩენს ზოგიერთი თანამედროვე ქართველი მწერალი თავის ხელობის მიმართ.

ბევრი შეცდომაში შეჰყავს იმ გენიალ სისადავეს, რომლითაც აღბეჭდილია ქართული ასოების მარტივი კონფიგურაცია.

ქართული დამწერლობა ისე რთული რომ იყოს, როგორიცაა არაბული, ან ფრანგული, მრავალი ვინმე შეიკავებდა ამ შემთხვევაში თავს ლიტერატურაში მუშაობიდან და თავათაც მოიგებდა უთუოდ..

ვგონებ საჭიროც არაა იმის განმეორება, რომ ჩვენ ჩვენი ახალი თაობა გვიყვარს და მისი დაწინაურებისათვის ვმუშაობთ, გვიყვარს, მაგრამ პირობითად.

ერთი რამ უეჭველია: არც ახალგაზრდობა და არც სიბერე არავითარ პრივილეგიას არ ანიჭებს ადამიანს, სულ ერთია, მწერალი იქნება იგი, ექიმი, გინა მჭედელი.

ახალგაზრდა მჭედელმა რომ ცუდად გამოკვეროს ფოლადი, ამას არავინ მიუტევებს მას. არც ახალგაზრდა ექიმს აპატიებენ ცუდად მკურნალობას.

ახალგაზრდა მწერალი თუ მართლაც ნიჭიერია, ფართოდ გავუღოთ მას ლიტერატურის ბჭენი, მოხუცს თუ სათქმელი გამოლევია, ლიტერატურას მოეშვას და პენსია იკმაროს, ან ისე ჭკვიანად დაბერდეს, როგორც ილია, ვაჟა ან ლევ ტოლსტოი.

არ თუ მარტოოდენ ხარისხების მოხვეჭა უშველის ხელოვანს. გრიგოლ ორბელიანს მკერდზე ჰქონდა დაკიდული მთელი კანკელი ორდენებისა. მე ვიტყოდი, სისხლითა და მამაცობით მოპოვებული ორდენებისა, მაგრამ როცა ჯანმაგარი ახალი თაობა მოაწვა, მას ერთხელაც არ უყვირნია: მე კავკასიის მთავარმმართველი ვარ და გზა მიტიეთო. ხელოვნება დაუნდობელია და სასტიკი, სისასტიკით იგი ომსა ჰგავს, ხოლო დაუნდობლობით ბედაურს, კარგმა ულაყმა თუ შეგატყო სადავეს ვეღარ ფლობ, უთუოდ ჩამოგაგდებს.

დღეს ჩვენ გვყავს საკმაოდ ნიჭიერი ახალი თაობა მწერლებისა, მაგრამ მას ხელმძღვანელობა აკლია.

მიზეზი?

მთავარი მიზეზი ეგაა: თუ გასულ საუკუნეში ილია და გრ. ორბელიანი უწევდნენ მენტორობას მოზარდ თაობას, ამხელდნენ კიდევაც მას უებარი პირდაპირობით, ჩვენს ახალ თაობას ხშირად რჩევნიან უპრინციპო რედაქტორები, ხანდახან მწერლობაში ახალგაზრდებს ისეთი პირები აძლევენ პასპორტს, რომელთაც საკუთარიც არ გააჩნიათ.

ზოგიერთი ღვაწლმოსილი მწერალთაგანი ასე ფიქრობს: მე მაინც მიმავალი ვარ, დეე, ტკბილად მახსენოს ამ ახალგაზრდამ და სჭამოს ტკბილი პური ლიტერატურისა, მაგრამ მან ხშირად არც კი იცის, რომ იგი აცდენს რომელიმე რიგიან ბუხჰალტერს და ხელში აჩეჩებს მას ხელმოცარული მწერლის გამწარებულ ლუკმას.

რას აკეთებს ჩვენი კრიტიკა?

ამ წრეშიაც ზოგი პრინციპიალია, ზოგიც უპრინციპო.

საერთოდ უნდა ითქვას, ჩვენი კრიტიკოსები ლომ-ტარიელები არიან ასეთი გულჩვილი მენტორების ფონზე.

ცხადზე უცხადესია: ლიტერატურის პროგრესს ერთი დიდი ფაქტორი ასულდგმულებს — გულახდილობა. ჩვენი კოლეგები ერიდებიან თავიანთი ამხანაგების მუშაობის მიმართ კრიტიკულ მსჯელობას საჯაროდ.

ამ კატეგორიის ადამიანებს ერთი წუთითაც არ უნდა დაავიწყდეთ, რომ არც ერთი მწერალი დიდი არ გამხდარა, თუ მას მკაფიოდ არ გამოუსახავს თავისი დამოკიდებულება თანამედროვეთა მიმართ.

ჩვენში ამას არ ერიდებოდნენ არც ილია და გრ. ორბელიანი, არც ტოლსტოი და ტურგენევი რუსეთში.

მომწიფებული ინტელექტის პატრონმა უთუოდ უნდა იცოდეს: თუ თავათ წიგნი რაიმე ღირებულებას შეიცავს, დღეს ჩვენ ისეთი პირობები გვაქვს, ერთ შესანიშნავ წიგნს ათი მწერლის დუმილი და ოცი კრიტიკოსის მტრობაც ვერაფერს დააკლებს, რადგან ჩვენს ქვეყანაში ყველა თვალს ადევნებს მწერლობას, ყველა დაინტერესებულია მით.

ჯანსაღ მწერლობაში არავინ მალავს შეჯიბრის აუცილებლობას. შეჯიბრი საჭიროა არა მარტო სპორტის დაწინაურებაში. ყოველი დროის, ყოველი ერის ხელოვნებას შეჯიბრი ასულდგმულებდა მუდამ.

როცა ხელოვანი რომელიმე თანატოლის მიმართ მეტოქედ გრძნობს თავის თავს, იგი უნდა ცდილობდეს თავისი პროდუქციის ოდენობისა და ხარისხის მაჩვენებლებით გადაასწროს მეტოქეს და არა ლიტერატურული ხვანჯებითა და ოინბაზობით.

ჩვენს მწერლობაში ეს ბრძოლა ფრიად უკულტურო და უპრინციპო სახეს ღებულობს ხშირად.

ახლა ვიკითხოთ: ვინ არის მსაჯი მწერალთა შორის შეჯიბრისა?

რა თქმა უნდა, ხალხი, მაგრამ იგიც ხდება ხოლმე, რომ ხალხის ვოტუმს სიცოცხლეში ვერ ეღირსება რომელიმე ავტორი, რამდენადაც მის გამარჯვებას ხშირად მრავალი ფაქტორი წინ გადაუდგება ხოლმე.

ჩვენს სინამდვილეში ერთად ერთი მსაჯია კრიტიკა და მკითხველი საზოგადოება. ბურჟუაზიულ ევროპაში სულ სხვა ატმოსფეროში უხდება მწერალს სახელის მოხვეჭა.

ზოგიერთი მწერალი იქ პირდაპირ ყიდულობს კრიტიკოსებს, რამდენადაც ევროპული პრესა კორუპციულია საერთოდ.

ლიტერატურის თავკაცებს საკუთარი პრესა აქვთ დასავლეთში. ამ გზით ფრიად გაბერილია ფრანგი მწერალი ანდრე ჟიდ, რომელმაც დიდი უნამუსობითაც გაითქვა რამდენიმე წლის წინად სახელი.

მე-19 საუკუნის საქართველოში ჩვენს დიდ მწერლებსაც ფრიად შველოდა ზეგავლენის მოპოებაში, როგორც გვაროვნება, ისე მამული, გინა მხედრული სახელი. მაგალითად, ვახტანგ ორბელიანს. რა თქმა უნდა, ჩვენს სინამდვილეში ზემოხსენებული ფაქტორები გამორიცხულია, მაგრამ ერთი რამ არის: თანამედროვე კრიტიკოსი იძულებულია რიდით გარს უაროს ისეთ მწერლებს, რომელთაც განსაზღვრული წარჩინება აქვთ მოპოვებული. ლიტერატურის პროგრესი მხოლოდ მაშინაა უზრუნველყოფილი, როცა კრიტიკა ყველას თანაბრად განიკითხავს წუნდებული პროდუქციის გამო.

არც ერთ პატრიოტს, არც ერთ შეგნებულ მწერალს არ უნდა უხაროდეს მისი თანამედროვე კოლეგის მარცხი.

საბჭოთა-პარტიულ საზოგადოებრიობის უგზომ აქტიური ჩარევა ხარისხისათვის ბრძოლის საქმეში უთუოდ დააფიქრებს ბევრს როგორც კრიტიკოსთა, ისე სხვა ჟანრის მწერალთა შორის.

მწერალთა შორის ხშირად უჩივიან იმ ზერელობას, რომელსაც იჩენს თანამედროვე კრიტიკოსი ახალი მწერლობის შეფასებაში.

მე არ ვიზიარებ ზოგიერთი ამხანაგის აზრს, თითქოს ჩვენი თანადროული მწერლობა ნაკლებად აქტიური იყოს და უფრო ნაკლებად დიადი, ვიდრე გასული საუკუნისა.

მართალია, ჩვენ დღეს არა გვყავს ილიას ოდენა ფიგურა, მაგრამ განა ილია ჭავჭავაძე მარტო მწერალი იყო? იგი იყო პოლიტიკური მოღვაწე, ბანკირი და რედაქტორიცა, ბოლოს, რაც უმთავრესია, ნამდვილი მამა სამშობლოისა.

სხვა ქვეყნებს მაგალითიც რომ მოვიშველიოთ, ზეგავლენის მხრით ვერც მერიმე და სტენდალი შეედრებიან ვიქტორ ჰიუგოს.

და არსად არც ერთ ქვეყანაში არც ერთ დიდ ოსტატს მწერლობისას მარტოოდენ ხელოვნებით არ მიუღწევია ისეთ მეფურ დიდებისათვის, როგორიც მოიხვეჭა თავის დროზე საფრანგეთში ჰიუგომ, სამაგიეროდ ჰიუგო, როგორც ოსტატი, უთუოდ ჩამორჩება მერიმესა და სტენდალს. დღეს ჩვენს საბჭოურ სინამდვილეში ფუნქციები ზუსტად დადგენილია წინასწარ. თანამედროვე ქართველ მწერალს არა სჭირდება ინგლისის პოლიტიკის გამო წერილების წერა ილიას დარად. ამ დარგს თავისი მესიტყვე ჰყავს მიჩენილი.

მიუხედავად ამისა, ჩვენი ახალი მწერლობა არც ოსტატობით, არც იდეათა კომპლექსის სირთულით არ ჩამოუვარდება გასული საუკუნისას, პირიქით, წინ უსწრებს მას. უამისოდ ცხოვრების პროგრესი არ შესდგებოდა და ჩვენი საქმე წყალზე დაწერილი ამბავი იქნებოდა.

ამ მომენტმა მომეტებულად უნდა დააფიქროს კრიტიკოსთაგანი ზოგი, და დროა მათაც იზრუნონ ხარისხისათვის, უკლონ მოუფიქრებელ ფელეტონების წერას და შედგენას იმ უნიათო სიების, რომელთაც „ძმათა სასაფლაოს“ უწოდებენ ჩვენი მწერლები ხუმრობით. კრიტიკოსთაგანი თუ ვინმე სდუმს ახალი მწერლობის მიღწევათა გამო, არც ეგაა დიდი უბედურება, რადგან თუ შემოქმედს მკლავი ერჩის, მას ვერც უმართებულო ქირდვა დააკლებს რაიმეს, ვერც შეგნებული დადუმება კოლეგებისა.

თანამედროვე ომმა გადაშალა დიდი პანორამები ადამიანის სულისა. კარგია ამ საშინელებათა საკუთარი ნერვებით განცდა, მაგრამ ვისაც საამისო ძალა არა ჰყოფნის, შესაძლოა ზურგში იყოს მწერალი და იქიდანაც აღელვებდეს ჩვენი მეომრების გულებს. მე ვერ წარმომიდგენია ისეთი მწერალი, საერთოდ საბჭოთა ქვეყნის შვილი, რომელიც არ აღელვებულიყო იმ მრისხანე დღეს, როცა ჩვენი მამაცი და ომებში მრავალნაცადი ლომი გამოუვარდა მოსკოვის ბჭეებიდან მტერს და უკუაქცია ფოლადასხმული ტანკების ლაშქარი.

ვინც ჩვენი ეპოქის დიდ ცნებებს ვერ გამოსახავს, იგი უთუოდ დარჩება განზე, მაგრამ ამ საქმეში ოსტატობაა უპირატესი საქმე.



მოქმედი არმია. სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით. ნაღმმტყორცნელთა გუნდი გადადის ცეცხლის ახალ ხაზზე.

საკდესის ფოტო.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმი

**კვირას, 27 დეკემბერს,** მწერალთა სასახლეში აწყობს დისპუტს

**კონსტანტინე გამსახურდიას რომანის**

**„დავით აღმაშენებლის“** გარშემო.

შესავალი სიტყვა **ირაკლი აბაშიძისა.**

მომხსენებელი **ბესარიონ ჟღენტი.**

კამათში მონაწილეობის მისაღებად მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი იწვევს:

| | |
|---|---|
| პროფ. **ალ. ბარამიძეს,** | აკად. **დ. უზნაძეს,** |
| პროფ. **ნ. ბერძენიშვილს,** | **შ. რადიანს,** |
| **პ. ინგოროყვას,** | აკად. **ა. შანიძეს,** |
| აკად. **კორნელი კეკელიძეს** | **ს. ჩიქოვანს,** |
| აკად. **ს. ჯანაშიას,** | **ვ. წულუკიძეს,** |
| **სერ. კლდიაშვილს,** | **ი. აგლაძეს,** |
| აკად. **ნ. კეცხოველს,** | **ი. ზურაბიშვილს,** |
| პროფ. **შ. ნუცუბიძეს,** | **ლ. ასათიანს,** |
| **ლეო ქიაჩელს,** | **დ. ბენაშვილს,** |
| **გერ. ქიქოძეს,** | **იასე ცინცაძეს,** |
| **ა. გაწერელიას,** | პროფ. **გ. თავზიშვილს,** |
| **ალ. ქუთათელს,** | **ე. ასტვაცატუროვს.** |

დასაწყისი დღის სრულ 12 საათზე.

## სოფლის სტუმარი

**ვიქტორ გაბესკირია**

გახარებული, მართალი გულით,
რომელსაც მასთან მოდის მნახველი,
ის წამოდგება გაღიმებული
და ესალმება მარცხენა ხელით.

ქებას და ალერსს ისმენს დარცხვენით,
ნათესავები მას გარს უვლიან
და ყველა ამჩნევს, მარჯვენა ხელი
რომ სამუდამოდ შეხვეულია.

მაგრამ როს ღვინოს დაასხამს გვიან,
არავის არ სურს, რომ გაიოცოს,
და ჩვეულებრივ ეუბნებიან:
„შენი მარჯვენა ღმერთმა დალოცოს!“

## დოკუმენტალური ფილმი „ომის ერთი დღე“

კინოქრონიკის ცენტრალური სტუდიის დოკუმენტალურ ფილმს „ომის ერთ დღეს“, რომელსაც თითქმის ეს ერთი თვეა უჩვენებენ თბილისის კინო-თეატრებში, ღრმა ინტერესით შეხვდა მასობრივი საბჭოთა მაყურებელი. ფილმმა საბჭოთა პრესის ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა.

„ომის ერთი დღე“, არის ისეთი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც მრავალი წლის შემდეგ ჩვენი შვილები და შვილიშვილები შესძლებენ აღადგინონ სრული სურათი იმისა, რაც ამჟამად ხდება. თვით ფილმის სახელწოდება იძლევა წარმოდგენას მის შინაარსსა და კომპოზიციაზე. ფილმის ავტორებს უცდიათ მომენტალური გადაღებით მოეცათ სახე ჩვენი სამშობლოსი მის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ჟამს.

ეს მომენტალური გადაღება ფრონტზე და ზურგში უწარმოებია 160 კინოოპერატორს 1942 წლის 13 ივნისს, ესე იგი, დიდი სამამულო ომის 356-ე დღეს. ფილმში ასახულნი არიან ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები, პოლიგონები, ტანკოდრომები, აეროდრომები, რკინიგზის სადგურები, სანგრები და ბლინდაჟები, ქვეითების, ტანკისტების, მფრინავების ბრძოლები. მთელი ეს მასალა ისეა შერჩეული, რომ მთლიანად სურათი იძლევა მკაფიო წარმოდგენას მთავარსა და დამახასიათებელზე.

ფილმში ნაჩვენებია თბილისის რკინიგზის სადგურზე 1942 წლის 13 ივნისს მომხდარი ფაქტი. თბილისის სადგურიდან ფრონტზე მიემგზავრებიან ახალგაზრდა მფრინავები. მაყურებელი ხედავს ახმაურებულ პერონს, ესმის ერთმანეთში არეული ლაპარაკი, ხედავს წამსვლელთა და გამცილებელთა სახეებს. ყველას იმედისა და მხნეობის სხივი დანათის. შეიძლება მრავალი მათგანი, რომელიც ამ დღეს ფრონტზე მიდის, ბრძოლის ველზე დაეცეს. ეს იციან მიმავალმა მეომრებმა და მათმა გამცილებლებმა, მაგრამ ისინი მაინც იღიმებიან, რწმენით და იმედით უყურებენ მომავალს, ამას მოსდევენ კადრები, რომლებიც გვიჩვენებენ ტანკისტების ჩაბმას ბრძოლაში და სხვას.

— სურათი ეკრანზე გამოვიდა ოქტომბრის რევოლუციის 25 წლისთავის წინადღეს, — სწერდა პოეტი და დრამატურგი კ. სიმონოვი.—თუმცა მასში ნაჩვენებია ერთი დღე — 1942 წლის 13 ივნისი, იგი მთელი თავისი არსებით მაინც აღბეჭდავს საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 25 წელს. ფილმში იბრძვიან ის ადამიანები, რომლებიც დაიბადნენ და აღიზარდნენ ამ 25 წლის მანძილზე, ფილმში ვხედავთ ქარხნებს, რომლებიც ამავე წლებში იქნენ აგებულნი, მასში ვხედავთ არმიას, რომელიც ამავე წლებში შეიქმნა და გაიზარდა. რაც მთავარია, ვგრძნობთ იმას, რაც წარმოადგენს ამ მშვენიერი ფილმის სულსა და გულს, ეს არის რწმენა გამარჯვებაში. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 25-მა წელიწადმა შექმნა ყველაფერი ის, რაც ნაჩვენებია სურათში — ადამიანები, ტექნიკა, იარაღი, ქარხნები, ყველაფერი ის, რაც ამჟამად საშუალებას გვაძლევს ვაწარმოოთ გააფთრებული შეურიგებელი ბრძოლა მტერთან და ამასთან ვიქონიოთ ურყევი რწმენა მოსისხლე მტერზე ჩვენი ხალხის გარდუვალ გამარჯვებაში“.

## აჭარელი მწერლების ნაწარმოებთა კრებული

**„ყველაფერი ფრონტისათვის“.**

რედაქციამ მიიღო აჭარის სახელმწიფო გამომცემლობის მიერ გამოცემული აჭარელი მწერლების მხატვრულ ნაწარმოებთა კრებული, რომლის სათაურია „ყველაფერი ფრონტისათვის“. კრებულში მოთავსებულია ნესტორ მალაზონიას, პარმენ რურუას, შალვა იოსელიანის, კ. რუსიძის, მამუდ ვარშანიძის, შალვა მუბლაძის, ნადიდე გვარიშვილის ლექსები და პარმენ ლორიას მოთხრობა „სისხლი სისხლისა წილ“.

რედაქციამ მიიღო რუსულ ენაზე გამოცემული იგივე კრებული. შიგ მოთავსებული ლექსების და მოთხრობების რუსული თარგმანი ეკუთვნის ალექსანდრე ყანჩელს.


**სარედაქციო კოლეგია:**
**ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე, გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო წულუკიძე.**



საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამომცემლობას „ფედერაციას“ 1943 წლის პირველ იანვრიდან ეწოდება

**გამომცემლობა**

**„საბჭოთა მწერალი“**

ამავე გამომცემლობის სტამბას, ნაცვლად „ფედერაციის“ სტამბისა, ეწოდება **„საბჭოთა მწერლის“ სტამბა**

მისამართი: პლეხანოვის პროსპ., № 181, ტელეფონი 3-21-28.

**სახელმწიფო დაზღვევა**

**სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები ღებულობენ ნებაყოფლობითს**

**დაზღვევაზე საოჯახო ქონებას**

ავეჯს, ტანსაცმელს, მუსიკალურ ინსტრუმენტებს, ჭურჭელს, პროდუქტებს, წიგნებს, სურათებს, სანადირო და სასპორტო ინვენტარს და სხვ.

**საოჯახო ქონება შეიძლება დაზღვეულ იქნას რაგინდ თანხაში,**

ხოლო არა უმეტეს მისი ღირებულებისა სახელმწიფო და კოოპერატიული ფასების მიხედვით, გაცვეთის გამოკლებით.

დაზღვევის გადასახდელები დაწესებულია 1-დან 4 მანეთამდე სადაზღვევო თანხის ყოველ 1000 მანეთზე იმისდა მიხედვით, თუ რა მასალისაგანაა კედლები და სახურავი იმ შენობისა, რომელშიაც მოთავსებულია სადაზღვევო ქონება.

**მოქალაქენო, დააზღვიეთ საოჯახო ქონება!**

**მცირე გადასახდელებით თქვენ უზრუნველყოფილი იქნებით ზარალისაგან ხანძრის, აფეთქებისა, მიწისძვრისა, წყალდიდობისა, ნიაღვრისა და სხვა სტიქიური უბედურების შემთხვევაში.**

ცნობებისათვის მიმართეთ რაი (ქალ.) სახდაზღვევის ინსპექციებს.

**საქ. სსრ სახდაზღვევის სამმართველო,**

**სახელმწიფო დაზღვევა**

**სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები ატარებენ მშრომელთა**

**სიცოცხლის კოლექტიურ დაზღვევას**

დაზღვევა გაფორმდება იმ პირობით, თუ კოლექტივში მომუშავეთა თანამყოფელ რაოდენობის არა ნაკლებ 40% წერილობით განაცხადებს დაზღვევის სურვილს ერთიან სადაზღვევო თანხაში.

დაზღვევა მიიღება 500, 1000, 2000, 3000, 4000 და 5000 მანეთში თითოეულ მშრომელზე.

გადასახდელი—12 მან. წლიურად სადაზღვევო თანხის ყოველ 1000 მანეთზე.

სახდაზღვევა გასცემს სადაზღვევო თანხას დაზღვეულის სიკვდილის გამო ან უბედურ შემთხვევისაგან ინვალიდობის გამო.

დაზღვევა ტარდება მშრომელთა სამუშაო ადგილის მიხედვით.

**მოაწყეთ სიცოცხლის კოლექტიური დაზღვევა!**

გარდა სიცოცხლის კოლექტიური დაზღვევისა, შეიძლება სიცოცხლის ინდივიდუალურად დაზღვევა, სიცოცხლის ინდივიდუალურად დაზღვევა შეიძლება იმ თანხაში, რომელსაც მოისურვებს მშრომელი.

ცნობებისათვის მიმართეთ რაი (ქალაქის) სახდაზღვევის ინსპექციებსა და დაზღვევის აგენტებს.

**საქართველოს სსრ სახდაზღვევის სამმართველო.**



**რედაქციის მისამართი:** მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სასახლე), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 11096